

შპს „გლობალ ვიქტორი ჯორჯია“-ს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	1
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	2
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	5-16

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	3	8,545,124	7,947,023
გაცემული გრძელვადიანი სესხები	4	3,104,396	1,882,311
გუდვილი		214,085	354,194
		11,863,606	10,183,528
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	5	3,518,240	4,923,714
ფულადი სახსრები-შეზღუდული გამოყენების	5	2,000,000	2,000,000
სავაჭრო მოთხოვნები		97,343	12,242
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	6	325,606	310,233
მარაგები		9,535	7,521
სხვა მიმდინარე აქტივები		398	530
		5,951,121	7,254,239
მთლიანი აქტივები		17,814,727	17,437,767
მთლიანი კაპიტალი			
პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი	7	8,443,026	8,443,026
დაგროვილი ზარალი		(4,169,979)	(2,228,345)
არამაკონტროლებლის წილი		14,898	16,192
		4,287,945	6,230,873
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	8	13,516,370	11,177,214
		13,516,370	11,177,214
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		7,986	6,835
საგადასახადო ვალდებულებები		2,426	22,845
		10,412	29,680
მთლიანი ვალდებულებები		13,526,782	11,206,894
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		17,814,727	17,437,767

დირექტორი:


შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარი)	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	9	329,580	437,221
თვითღირებულება		(10,001)	(46,865)
საერთო მოგება		319,579	390,356
სხვა შემოსავლები		26,280	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(140,358)	(133,235)
მიწოდების და საწარმოო დანიშნულების ხარჯი		(220,038)	(264,123)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(389,778)	(241,865)
ცვეთა და ამორტიზაცია		(161,003)	(131,311)
სხვა ხარჯები	11	(810,341)	(248,996)
საოპერაციო მოგება		(1,375,659)	(629,174)
ფინანსური შემოსავალი		289,868	460,230
ფინანსური ხარჯი		(857,137)	(1,228,519)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(567,269)	(768,289)
მოგება დაბეგვრამდე		(1,942,928)	(1,397,463)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(1,942,928)	(1,397,463.19)
მ.შ არამაკონტ წილი		-1294	-1403

დირექტორი:



შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	6,923,714.00	13,720,673.00
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სახსრები	277,560.26	426,952.00
მომწ. და დასაქმ. პირებზე გაც. ფულ. სახს.	(748,887.79)	(840,698.00)
გადახდილი გადასახადები	(35,249.50)	(111,189.00)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(19,301.77)	839,894.00
ფულის ნაზრდი(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	(525,878.80)	314,959.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოსავლები	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-	-
მიღებული პროცენტები	124,084.07	306,087.00
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(901,135.66)	(2,035,646.00)
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(777,051.59)	(1,729,559.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა		
სესხის მიღება		
მიღებული სესხის გადახდა	-	(5,923,600.00)
სესხის გაცემა	(585,350.00)	(5,869,213.00)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	5,951,000.00
გადახდილი პროცენტები	(40,021.92)	(33,402.00)
ფულის ნაზრდი(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	(625,371.92)	(5,875,215.00)
ვალუტ გაცვ კურ ცვლ გავლენა ფულადი სახს და მათ ექვ	522,829.00	492,856.00
ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	5,518,240.69	6,923,714.00

დირექტორი:

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის




შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2019.01.01 მ.შ	17,845.00	8,443,026.00	(832,534.00)	7,628,337.00
ჯგუფის პარტნიორებზე	-	8,443,026.00	(832,284.00)	7,610,742.00
არამაკონტროლებელ წილზე	17,845.00		(250.00)	17,595.00
ჯგუფის პარტნიორებზე			(1,397,464)	(1,397,464.00)
ნაშთი 2019.31.12 მ.შ	17,845.00	8,443,026.00	(2,229,998.00)	6,230,873.00
ჯგუფის პარტნიორებზე		8,443,026.00	(2,228,345.00)	6,214,681.00
არამაკონტროლებელ წილზე	17,845		(1,653)	16,192.00
ჯგუფის პარტნიორებზე			(1,942,928.39)	(1,942,928.39)
ნაშთი 2020.31.12 მ.შ	17,845.00	8,443,026.00	(4,172,926.39)	4,287,944.61
ჯგუფის პარტნიორებზე		8,443,026	(4,171,632)	4,271,393.69
არამაკონტროლებელ წილზე	17,845.00		(1,294.08)	16,550.92

დირექტორი:



ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2017 წლის 15 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405195408, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., #15/5, ბინა #2. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული კომპანია GLOBAL VICTORY INVESTMENTS LIMITED IC10460464.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორებია : -

- კახა ამისულაშვილი (პ/ნ 01030006597).
- ზურა კახელაძე (პ/ნ 01007008260).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა და ფინანსური ოპერაციები (სესხის გაცემა) რესტორნების, სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების მოწყობა-განვითარების მიზნით.

კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმოები:

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შვილობილი კომპანია	2019 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2020 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %
სს „კურორტი ახტალა“ 227720883	99.50%	99.50%
შპს „ჯიენდი“ 402049680	100%	100%
შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“ 405352363	100%	100%

კომპანიას ჰყავს მეკავშირე საწარმო - GLOBAL VICTORY AFRICA INVESTMENTS (PROPRIETARY) LIMITED, რომელიც რეგისტრირებულია ნამიბიაში ამავე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით). ფინანსური აქტივები და

ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

- (ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და
- (ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ ან მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც

არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება
ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.
ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის
გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი.
ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო
ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო
ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო
ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ
კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო
ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო
სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო
განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;
მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;
იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების
ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი
სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების
ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის
წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ
ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3

ძირითადი
საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავ რებელი მშენებლო ბა	შენობა ნაგებობები	საინვესტი ციო ქონება	ნარგავები, დენდრო ლოგია	მანქანა- დანადგარ ები	ავიჯი და სხვა ინვენტა რი	სატრან სპორტ ო საშუალ ებები	არამატე რიალურ ი აქტივები	სულ
01 იანვარი 2019	2767138. 76	1908381	1307045.92	-	110640	72085.9	2971	47367	26898.2 100844.3	6242527.78
შემოსვლა	27783	335495.89	40221.81	1414092	-	2307	13057	51360	7	1985161.07
გასვლა	-	-	149353.65	-	-	-	-	-	-	149,353.65
ცვეთა და გაუფასურება 31 დეკემბერი 2019	-	-	63348.04	25057	6062.5	21965.28	2466.5	7824	4589.17	131312.49
	2,794,922	2,243,877	1,134,566	1,389,035	104,578	52,428	13,562	90,903	123,153	7,947,023
შემოსვლა	-	79964.78	30746	568264	-	729	79826.01	-	4249.2	763778.99
გასვლა	-	-	3699.1	-	-	814	161	-	-	4,674.10
ცვეთა და გაუფასურება 31 დეკემბერი 2020	-	-	65567	31420	6063	22068	4290	9023	22572.93	161003.93
	2,794,922	2,323,842	1,096,046	1,925,879	98,515	30,275	88,937	81,880	104,830	8,545,124

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 4

გაცემული გრძელვადიანი სესხები

	2020	2019
ეიჩ ეფ სი ჯ USD 8.1%	2104478	1461888
ეიჩ ეფ სი ჯ GEL 10.9%	999918.39	420423
სულ	3104396.39	1882311

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	160.85	303.11
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	57484.85	73560.52
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3460594.98	4849850.49
საბანკო გარანტია	2000000	2000000
სულ	5518240.68	6923714.12

შენიშვნა 6

ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

	2020	2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	29,706	6,063
შემოსავლებში ზედმეტად გადახდილი თანხა	295900.47	304,171
სულ	325,607	310,233

შენიშვნა 7

პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი

ჯგუფის სადამფუძნებლო კაპიტალი განისაზღვრა როგორც ნული ლარი, თუმცა 2018 წელს კომპანიის საბოლოო მაკონტროლო ლეგელი მხარის მიერ განხორციელდა დამატებითი კონტრიბუცია კაპიტალში.

შენიშვნა 8

შპს გლობალ ვიქტორი ჯეორჯია ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სასესხო ვალდებულებები	2020	2019
მარიამ ხიდაშელი USD 1.0 %. დაფარ.წელი-2028	13,516,370	11177214
სულ	13516370.23	11177214

შენიშვნა 9

ამონაგები	2020	2019
შემოსავალი რეალიზიციიდან	329580.05	390506.22
სხვა საოპერაციო შემოსავლები	26280	46714.8
სულ	355860.05	437221.02

შენიშვნა 10

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	2020	2019
ბანკის საკომისიო	1909.68	10495.52
რემონტის ხარჯი	14465.17	22902.24
საიჯარო ქირა	10905.24	10442
კომუნიკაციის ხარჯები	7255.69	8969.74
სხვა საგადასახადო ხარჯი	34362.22	24733.18
სხვა საერთო ხარჯი	71459.64	55691.99
სულ	140357.64	133234.67

შენიშვნა 11

სხვა ხარჯები	2020	2019
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი	805980.5	81183.26
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	362.66	507.09
შენობის დემონტაჟის ხარჯი	3998.3	167306.11
სულ	810341.46	248996.46

სხვა საყურადღებო გარემოებები

კომპანიამ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან აუქციონის გზით 2018 წლის 30 ივლისს 3,760,000 ლარად შეიძინა სს „კურორტი ახტალას“ (ს/ნ 227720883) აქციების 99,54808%. ამ ხელშეკრულებით კომპანიას ევალება ხელშეკრულების დადებიდან 48 თვეში არანაკლებ 12 (თორმეტი) მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება - კერძოდ სს „კურორტი ახტალას“ კუთვნილ ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. კომპანიამ ამ ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით წარადგინა 1,2 მილიონი ლარის საბანკო გარანტია.

აგრეთვე, ჯგუფში შემავალმა საწარმომ, შპს „ჯიენდიმ“, 2018 წლის 30 აპრილს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან“ მიიღო აუქციონის გზით 1,003,000 ლარად შეძენილი ქონება, კერძოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიბანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მახსე მდგომი შენობა-ნაგებობებითურთ. ამ ხელშეკრულებით საწარმოს ევალება ხელშეკრულების დადებიდან 48 თვეში არანაკლებ 8 (რვა) მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება - კერძოდ შეძენილი უძრავი ქონების ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. საწარმომ ამ ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით წარადგინა 800 000 (რვაასი ათასი) ლარის საბანკო გარანტია.

ხელშეკრულება აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს გარკვეულ ფინანსურ სანქციებს, თუმცა კომპანიის მენეჯმენტის მოსაზრებით არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც წარმოშობს მომავალში ამ საფუძვლით კომპანიის დაჯარიმების რისკს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 06 დეკემბერს;



დირექტორი: